განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

მოდის დიზაინი და ტექნოლოგია,საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
18 იანვარი 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
4 თებერვალი 2019 წელი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინი და ტექნოლოგია
განათლებისსაფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1.დიზაინის ბაკალავრი 0803 2. სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი 0409
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა იაშვილი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ჩხუტიშვილი, შპს სტილი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნია ნათბილაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ბერიანიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისშემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე 2012 წლიდან მოქმედებს აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამები „მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია“ და „გამოყენებითი დიზაინი“. შრომის ბაზრის კვლევის შედეგებისა და სტუდენტთა დაინტერესების გათვალისწინებით უნივერსიტეტში 2015 წელს შემუშავდა ორი დამოუკიდებელი მაინორ პროგრამა : „მოდის დიზაინი“ და „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირება და ტექნოლოგია“. ამ პროგრამებზე თანდათან გაიზარდა სტუდენტთა მოთხოვნა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალი კომპლექსური საბაკალავრო პროგრამის შემუშავების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამრიგად, ახალი საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“ ჩამოყალიბდა იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც დაგროვდა მოქმედ მაინორ პროგრამებზე დაკვირვების, სწავლა/სწავლებისა და შეფასების სისტემების ანალიზის, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მუშაობაზე დაკვირვების, მაინორ პროგრამების სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით.

პროგრამის შემუშავების, მისი სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობა მიიღეს დარგის სპეციალისტებმა, რომლებიც დასაქმებული არიან ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების წარმოების სფეროში მოდელიორ–დიზაინერებად, კონსტრუქტორებად და ტექნოლოგებად, ეწევიან ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას, ან თანამშრომლობენ მცირე საწარმოებთან და საამქროებთან. პროგრამის შექმნის დროს გათვალისწინებული იქნა წამყვანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მხრიდან გამოთქმული რეკომენდაციები პროგრამის შინაარსისა და კურსდამთავრებულთათვის სწავლის აუცილებელი შედეგებისა და კომპეტენციების თაობაზე. გათვალისწინებული იქნა ასევე, მოქმედი პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოცდილება.

პროგრამაში გაერთიანებულია ორი, საქმიანობის სფეროს მიხედვით მსგავსი სპეციალიზაცია: სამრეწველო ნაწარმის (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავსაგალანტერეო ნაწარმი) მოდის დიზაინისა და მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესების შემსწავლელი მიმართულებები – ხელოვნება და ინჟინერია, შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებსს პეციალიზაციების მიხედვით ორი კვალიფიკაციის მინიჭებას: 1. დიზაინის ბაკალავრი . 2. სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი.

„მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის „ საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს აღზარდოს პროფესიონალი სპეციალისტი, თანამედროვე მოდის შესაბამისი ნიმუშების დიზაინის შექმნისა და კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის ორი სხვადასხვა კვალიფიკაციით: დიზაინის ბაკალავრი და სამრეწველო ინჟნერიის ბაკალავრი, რომლებიც იქნებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები რეგიონისა და ქვეყნის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ისინი დასაქმდებიან კერძო და საჯარო სექტორის შესაბამის დაწესებულებებში. ამდენად, პროგრამა ემსახურება რეგიონში აღნიშნული დარგის განვითარებას. ამასთან, პროგრამის მიზნები შეესაბამება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია ძირითადი და დამატებითი (major/minor) პროგრამების შეთავსების პრინციპით, აერთიანებს ორი სპეციალობის მოდულებს და მოიცავს 240

კრედიტს. აქედან **მოდის დიზაინის სპეციალობისთვის** სასწავლო კურსები შემდეგნაირადაა გადანაწილებული:
პროგრამის საერთო კურსები- 61 კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები -104 კრედიტი
თავისუფალი - 5 კრედიტი
არჩევითი კურსები - 10 კრედიტი
დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი
ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგიის სასწავლო კურსები:
პროგრამის საერთო კურსები - 61 კრედიტი
სავალდებულო საფაკულტეტო კურსები - 39 კრედიტი
სპეციალობის სავალდებულო კურსები - 70 კრედიტი
თავისუფალი - 5 კრედიტი
არჩევითი კურსები - 5 კრედიტი
დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი
პროგრამის მერვე სემესტრში გათვალისწინებულია სასწავლო კურსი „კომპოზიციის მასალაში შესრულება“, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ, პროგრამის დასასრულებელ ნაშრომს.
თითოეული სპეციალობის მოდულის სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მოდის დიზაინისა და ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგიის მიმართულებით. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლა/სწავლების ისეთი ფორმატი როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა.სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, ხოლო მათი შეფასება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები. მრავალფეროვანია გამოყენებული შეფასების ფორმები: ტესტები, ზეპირი და წერითი გამოცდა, პრეზენტაცია და სხვ.სემესტრის დასაწყისში სტუდენტი ეცნობა სასწავლო კურსების სილაბუსებს. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური ბაზებითა და ინფრასტრუქტურით. აღნიშნული პროგრამა ახალია და მას არ ჰყავს სტუდენტები.უნივერსიტეტს საზოგადოების დაინტერესებულინაწილის (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, შესაბამისი პროფილის საწარმოები და სხვ.) გამოკითხვის საფუძველზე დაგეგმილი აქვს, სავარაუდოდ, 25-30 სტუდენტის მიღება პროგრამაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  სსიპ აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 18 იანვარს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ,კონსტრუქციულ გარემოში; ჩატარდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა

შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მონათესავე პროგრამების სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს (წარმოდგენილი პროგრამა ახალია და მას არ ჰყავს სტუდენტები) და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულიბაზების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  „მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად **პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია**მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2 ნაწილობრივ შესაბამისობაშია, 2.3 მეტწილად შესაბამისობაშია, 2.4 შესაბამისობაშია, 2.5 მეტწილად შესაბამისობაშია და 2.6 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და, ამდენად, **მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**, ვინაიდან 4.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4.2 და 4.3 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.4 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ამდენად, **მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**
  - პროგრამის სპეციფიკა დიდწილად მისი სახელოვნებო პროფილითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმალური სახელოვნებო-შემოქმედებითი უნარების შემოწმება გამოცდის ან პორტფოლიოს წარდგენის ფორმატში.
  - რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში, დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით, მკაფიოდ განისაზღვროს დაშვების წინაპირობები;
  - რეკომენდებულია, კურსის „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კომპიუტერული დაგეგმარება“ სპეციფიკის გათვალისწინებით ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსის წინაპირობად მითითებულია „კომპიუტერული

საოფისე პროგრამები“, რაც არ იძლევა მკაფიო წარმოდგენას, თუ რომელი კომპიუტერული პროგრამის ცოდნაა მიზანშეწონილი ან სავალდებულო აღნიშნული კურსის გასავლელად. რეკომენდებულია, ასევე, ამავე კურსში პრაქტიკული მეცადინეობის თემატიკის გაშლა.

- რეკომენდებულია, კურსს „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ განესაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსი წინაპირობის გარეშეა და მიზანშეშონილი იქნებოდა წინაპირობად განსაზღვრულიყო ზოგადი ქიმიის კურსი.
- პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს დაემატოს კურსი „ქართული ხელოვნება“, რომელიც სტუდენტებს გააცნობს როგორც ძველი, ასევე, თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდებს და ძირითად მახასიათებლებს.
- რეკომენდებულია, ასევე, კურიკულუმს დაემატოს კურსი „მხაზველობითი გეომეტრია/გეომეტრიული მოდელირება (პერსპექტივი)“.
- რეკომენდებულია, კურსს „საწარმოო პრაქტიკა“ კომპეტენციებში დაემატოს ღირებულებები.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები„ გადამუშავება; კერძოდ, კურიკულუმს უნდა დაემატოს კურსი „ ჰიდრავლიკის საფუძვლები“ რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნის მიღწევა ან გადაიხედოს და გადამუშავდეს აღნიშნული კურსის მიზანი.
- ზოგიერთ სასწავლო კურსში (კერძოდ: „ტანსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში“, „სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია“, „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის საფუძვლები“, „სამკერვალო ნაკეთობათა კონსტრუირება“) რეკომენდებულია სასწავლო კურსების თემატიკის გაშლა, რათა სტუდენტებისთვის უფრო ნათელი გახდეს შესასწავლი საკითხების მოკლე შინაარსი.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „გამოყენებითი ანთროპოლოგია-1“ მიზნის დახვეწა და მისი შინაარსის სრულყოფილად გადმოცემა.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ხელოვნების და კულტურის ისტორია“ განახლდეს სასწავლო მასალა უახლესი გამოცემებით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების: „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მხატვრული მოდელირება“, „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია - 1“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია-2“, „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ სილაბუსებში სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას პესონალის ინდივიდუალური საჭიროებები (დარგობრივი ტრენინგები, უცხო ენის კურსები და სხვა),რაც ხელს შეუწყობს პროგრამის საერთაშორისო განვითარებას.
- პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია ზოგიერთი კურსის სასწავლო რესურსის, ლიტერატურის განახლება და გამდიდრება.

- რეკომენდებულია მოდის დიზაინის სპეციალობის კურსში შემოქმედებითი, იდეურ-კონცეპტუალური ნაწილის ფორმირება და განვითარება; იდეის,თემისა და სტილის ძიების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გაღრმავება, რათა უზრუნველყონ თანამედროვე ცვალებად შემოქმედებით-ინდუსტრიულ გარემოში მოდის ტენდენციებთან, ტრენდებთან,მომხმარებლებთან და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება თუ ფაკულტეტის მიერ ეროვნული გამოცდების არჩევით საგნად სხვა საგნებთან ერთად განსაზღვრული იქნება „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“. ამ საგნის დამატება ხელოვნების სფეროში კარგად გათვითცნობიერებული სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვას უზრუნველყოფს.
  - სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომი, როგორც სავალდებულო კომპონენტი. შესაძლებელია, ის შემუშავდეს ამჟამად მერვე სემესტრში გათვალისწინებული სასწავლო კურსის „კომპოზიციის მასალაში შესრულება“ ბაზაზე. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პრაქტიკულად ეს კურსი მოიაზრება შეძენილი ცოდნის შემაჯამებელ საგნად. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მაქსიმალურად მკაფიოდ გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომის შინაარსობრივი და ტექნიკური პარამეტრები (სილაბუსი, დაშვების წინაპირობები, საბაკალავრო ნაშრომის ფორმატი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები.)
  - სასურველია, რომ გადამუშავებული „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსი ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაჯერებული იქნეს ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისა და დარგის სპეციალისტის წინაშე არსებული ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელი საკითხებით.
  - სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების ჰარმონიზაციის, ასევე დარგის/სფეროს აქტუალურ მიღწევებზე ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმოს თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან. მემორანდუმის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს თსსა პედაგოგების მასტერკლასები და ვორქშოფები; შესაძლებელია წინასწარ გაზიარებული გრაფიკის შესაბამისად დაიგეგმოს აწსუს სტუდენტების მონაწილეობა მოდის დიზაინის უცხოელი სპეციალისტების მიერ აკადემიაში ჩატარებულ სხვადასხვა სახის აქტივობებში (საჯარო ლექცია, ვორქშოფი, მასტერკლასი, სტუდიური მუშაობა და სხვ.).
  - უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე და თანამშრომლობს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან. თუმცა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია, აღდგეს გასულ წლებში არსებული გაცვლითი პრაქტიკის ტრადიცია ევროპის შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებთან, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს

ახლოს გაეცნონ საერთაშორისო გამოცდილებას უცხოური ანალოგიური პროგრამების გაცნობის გზით.

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს და განახორციელოს აქტივობები უცხო ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად.
- სასურველია, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებთან და სტუდენტი კომპიუტერული პროგრამების (მაგ.: Photoshop, Illuatrator) დახმარებით ასრულებდეს სპეციალობის მოცემულობებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - „მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის“ პროგრამის ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ მთელი დასავლეთ საქართველოს რეგიონის რესურსცენტრებთან და წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამის და მასზე დაშვების წინაპირობების შესახებ. აღნიშნული აქტივობა უდავოდ ხელს უწყობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.
  - აწსუ-ის მიერ ყოველ წელს ტარდება „ღია კარის დღე“ (სამეცნიერო პიკნიკი) ინფორმაციის გავრცელების მიზნით, რომლის ფარგლებში „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტი აქტიურად წარადგენს სტუდენტთა და თანამშრომელთა მიერ შესრულებულ ნამუშევრებს, აწყობს გამოფენებსა და ჩვენებებს, ავრცელებს საინფორმაციო მასალას, რაც ხელს უწყობს პროგრამის ცნობადობის ამაღლებას და დაინტერესებული აბიტურიენტების მოზიდვას პროგრამაზე.
  - უნივერსიტეტში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების განსხვავებული პრაქტიკა, კერძოდ, პროგრამა გადის ე. წ. „ორმაგ შეფასებას“, რომელშიც შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობს სხვა ფაკულტეტიდან შერჩეული დარგის სპეციალისტი, აკადემიური პერსონალი. ამგვარი პრაქტიკა კარგად უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას ხარისხის შეფასების შიდა სისტემაში და ზოგადად, ხარისხის კულტურის ამაღლებას უწყობს ხელს.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანია სპეციალისტთა მომზადება პირადი მოხმარების ნაკეთობათა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავსაგალანტერეო ნაწარმი) თანამედროვე მოდის შესაბამისი ნიმუშების დიზაინის შექმნისა და კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური პროცესის წარმართვისათვის ორი სხვადასხვა კვალიფიკაციით : 1. დიზაინის ბაკალავრი, 2. სამრეწველო ინჟინერიის ბაკალავრი. პროგრამა უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის შეძენას, ასევე, პრაქტიკული უნარების გამომუშავებას აღნიშნული პროდუქციის მხატვრული და ტექნოლოგიური მოდელირების მიმართულებით. წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ახალია, თუმცა უნივერსიტეტს გააჩნია აღნიშნულ სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების არსებობის მდიდარი ტრადიცია, რაც ზედმიწევნით ასახულია სწავლების სტრატეგიაში. მოთხოვნადი პროფესიების - კვალიფიციური დიზაინერებისა და კონსტრუქტორ-ტექნოლოგების აღზრდის გზით პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც დარგის, ასევე, საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას:მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე.უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმების შესაბამისად პროგრამა ხელს უწყობს რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას აღნიშნულ დარგებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამა უსდ მისია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი „მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის მიხედვით და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან; კერძოდ, პროგრამა ორიენტირებულია ორი კვალიფიკაციის (დიზაინის ბაკალავრი და სამრეწველო ინჟინერიისდა ტექნოლოგიის ბაკალავრი) მინიჭებაზე; შესაბამისად, მისი ორივე სპეციალობის მოდულები სტუდენტს უვითარებს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ როგორც ზოგად, ასევე, დარგობრივ კომპეტენციებს. ტანსაცმლის დიზაინისა და ტყავისა და ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის ზედმიწევნით თანმიმდევრული განათლების სტრატეგია უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნების უნარის გამომუშავებას, რაც ხელს შეუწყობს კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდასბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.ღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტს გააჩნია წარმოდგენილი პროგრამის მსგავსი (მონათესავე) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორმოცდაათწლიანი გამოცდილება, რაც გათვალისწინებულია ახალი პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას. უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმადაც ხორციელდება საჭირო მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. ანალიზის შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებელი ცვლილებების სახით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ისე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ. შემუშავებულია კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის პოლიტიკა. ორივე პოლიტიკის ძირითადი მიზანია პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლა და შეფასება, პროგრამის ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. აქედან გამომდინარე, პროგრამა პერმანენტულ რეჟიმში ითვალისწინებს ყოველ ახალ მოთხოვნას და შესაბამისი

ცვლილებების განხორციელების გზით სათანადოდ ადაპტირდება შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების კვალდაკვალ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და იყენებს მათ პრაქტიკაში. ამდენად, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს, რეალისტური და მიღწევადია; პროგრამის სტრუქტურა და სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამა; „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“; დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებ ლოპროგრამისმ იზანი, სწავლისშედეგე ბიდამათთანპრ ოგრამისშესაბამ	☑			

ისობა				

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს „მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. სტუდენტების მიღება ხორციელდება განსაზღვრული კონტინგენტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს განათლების, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმალური შემოქმედებითი უნარების შემოწმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა„მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან;
რეკომენდაციები: • პროგრამის სპეციფიკა დიდწილად მისი სახელოვნებო პროფილითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმალური სახელოვნებო-შემოქმედებითი უნარების შემოწმება გამოცდის ან პორტფოლიოს წარდგენის ფორმატში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება თუ ფაკულტეტის მიერ ეროვნული გამოცდების არჩევით საგნად (ე.წ. მეოთხე საგანი) სხვა საგნებთან ერთად განსაზღვრული იქნება „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“. ამ საგნის დამატება ხელოვნების სფეროში კარგად გათვითცნობიერებული სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვას

უზრუნველყოფს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- „მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის“ პროგრამის ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ მთელი დასავლეთ საქართველოს რეგიონის რესურსცენტრებთან და წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამის და მასზე დაშვების წინაპირობების შესახებ. აღნიშნული აქტივობა უდავოდ ხელს უწყობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.
- აწსუ-ის მიერ ყოველ წელს ტარდება „ღია კარის დღე“ (სამეცნიერო პიკნიკი) ინფორმაციის გავრცელების მიზნით, რომლის ფარგლებში „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტი აქტიურად წარადგენს სტუდენტთა და თანამშრომელთა მიერ შესრულებულ ნამუშევრებს, აწყობს გამოფენებსა და ჩვენებებს, ავრცელებს საინფორმაციო მასალას, რაც ხელს უწყობს პროგრამის ცნობადობის ამაღლებას და დაინტერესებული აბიტურიენტების მოზიდვას პროგრამაზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

„მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის“ პროგრამა შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის- EP-QA“ შესაბამისად. სტრუქტურა აგებულია ძირითადი

და დამატებითი (major/minor) პროგრამების შეთავსების პრინციპით, აერთიანებს ორი სპეციალობის მოდულებს და მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის ორი სპეციალობის მოდულის სტრუქტურა, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით არის გააზრებული და მათი შემადგენელი სასწავლო კურსების მოცულობა განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ:

მოდის დიზაინის სპეციალობისთვის სასწავლო კურსები შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

პროგრამის საერთო კურსები- 61 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო კურსები -104 კრედიტი

თავისუფალი - 5 კრედიტი

არჩევითი კურსები - 10 კრედიტი

დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი

ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგიის სასწავლო კურსები:

პროგრამის საერთო კურსები - 61 კრედიტი

სავალდებულო საფაკულტეტო კურსები - 39 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო კურსები - 70 კრედიტი

თავისუფალი - 5 კრედიტი

არჩევითი კურსები - 5 კრედიტი

დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი

პროგრამის მერვე სემესტრში გათვალისწინებულია სასწავლო კურსი „კომპოზიციის მასალაში შესრულება“ (5 კრედიტი), რომელიც წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ, პროგრამის დამასრულებელ ნაშრომს. ამდენად, სასურველია, აღნიშნული სასწავლო კურსი, შინაარსის შესაბამისად, გადამუშავდეს საბაკალავრო ნაშრომად, გაიზარდოს მისი მოცულობა და დაერთოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების და შეფასების დეტალური აღწერა შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებთ.

სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია როგორც სასწავლო, ისე საწარმოო პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა საწარმოსთან თუ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტიანი პროგრამები უნივერსიტეტისსაერთო საგანმანათლებლო სივრციდან, გარკვეულ მოქნილობას სძენს მას და საშუალებას აძლევს სტუდენტს პირველი სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით აირჩიოს ის minor პროგრამა, რომელიც დამატებით ცოდნას მისცემს და კომპეტენციებს გამოუმუშავებს მას. მეორე სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრიდან ყოველ სემესტრში სტუდენტი ითვისებს 10 კრედიტს.

პროგრამის სასწავლო გეგმა ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის აგებული, დაცულია მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის პრინციპი, კერძოდ, გაცნობითი ხასიათისა და საბაზისო კურსებს მოსდევს უშუალოდ სპეციალიზაციის კურსები. ამ თანმიმდევრობას განსაზღვრავს შესაბამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის ფაქტორი.თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსში უფრო ლოგიკურადაა გასააზრებელი კონკრეტული წინაპირობები, კერძოდ: რეკომენდებულია, კურსის „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კომპიუტერული დაგეგმარება“ სპეციფიკის გათვალისწინებით ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსის წინაპირობად მითითებულია „კომპიუტერული საოფისე პროგრამები“, რაც არ იძლევა

მკაფიო წარმოდგენას, თუ რომელი კომპიუტერული პროგრამის ცოდნაა მიზანშეწონილი ან სავალდებულო აღნიშნული კურსის გასავლელად. რეკომენდებულია, ასევე, ამავე კურსში პრაქტიკული მეცადინეობის თემატიკის გაშლა. რეკომენდებულია, კურსს „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ განესაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსი წინაპირობის გარეშეა და მიზანშეშონილი იქნებოდა წინაპირობად განსაზღვრულიყო ზოგადი ქიმიის კურსი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია დარგობრივი დასაქმების ბაზრის მოთხოვნები, განსაკუთრებით ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის განხრით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. თუმცა რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს დაემატოს კურსი „ქართული ხელოვნება“, რომელიც სტუდენტებს გააცნობს როგორც ძველი, ასევე, თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდებს და ძირითად მახასიათებლებს. რეკომენდებულია, ასევე, კურიკულუმს დაემატოს კურსი „მხაზველობითი გეომეტრია“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“; თვითშეფასების ანგარიში; სასწავლო კურსების სილაბუსები; ინტერვიუ პროგრამის თვითშფასების ჯგუფთან; ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში, დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით, მკაფიოდ განისაზღვროს დაშვების წინაპირობები; • რეკომენდებულია, კურსის „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კომპიუტერული დაგეგმარება“ სპეციფიკის გათვალისწინებით ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსის წინაპირობად მითითებულია „კომპიუტერული საოფისე პროგრამები“, რაც არ იძლევა მკაფიო წარმოდგენას, თუ რომელი კომპიუტერული პროგრამის ცოდნაა მიზანშეწონილი ან სავალდებულო აღნიშნული კურსის გასავლელად. რეკომენდებულია, ასევე, ამავე კურსში პრაქტიკული მეცადინეობის თემატიკის გაშლა. • რეკომენდებულია, კურსს „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ განესაზღვროს დაშვების წინაპირობა; ამჟამად კურსი წინაპირობის გარეშეა და მიზანშეშონილი იქნებოდა წინაპირობად განსაზღვრულიყო ზოგადი ქიმიის კურსი. • პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს დაემატოს კურსი „ქართული ხელოვნება“, რომელიც სტუდენტებს გააცნობს როგორც ძველი, ასევე, თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანეს პერიოდებს და ძირითად მახასიათებლებს.

- რეკომენდებულია, ასევე, კურიკულუმს დაემატოს კურსი „მხაზველობითი გეომეტრია/გეომეტრიული მოდელირება (პერსპექტივი)“.
- რეკომენდებულია, კურსს „საწარმოო პრაქტიკა“ კომპეტენციებში დაემატოს ღირებულებები.
- რეკომენდებულია მოდის დიზაინის სპეციალობის კურსში შემოქმედებითი, იდეურ-კონცეპტუალური ნაწილის ფორმირება და განვითარება; იდეის,თემისა და სტილის ძიების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გაღრმავება, რათა უზრუნველყონ თანამედროვე ცვალებად შემოქმედებით-ინდუსტრიულ გარემოში მოდის ტენდენციებთან, ტრენდებთან,მომხმარებლებთან და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომი, როგორც სავალდებულო კომპონენტი. შესაძლებელია, ის შემუშავდეს ამჟამად მერვე სემესტრში გათვალისწინებული სასწავლო კურსის „კომპოზიციის მასალაში შესრულება“ ბაზაზე. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პრაქტიკულად ეს კურსი მოიაზრება შეძენილი ცოდნის შემაჯამებელ საგნად. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მაქსიმალურად მკაფიოდ გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომის შინაარსობრივი და ტექნიკური პარამეტრები (სილაბუსი, დაშვების წინაპირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საბაკალავრო ნაშრომის ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები.)

სასურველია, რომ გადამუშავებული „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსი ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაჯერებული იქნეს ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისა და დარგის სპეციალისტის წინაშე არსებული ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელი საკითხებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის

შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია ზოგადად თეორიული ცოდნის შეძენაზე, დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე.პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მოცულობა ინდივიდუალურადაა განსაზღვრული, ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, მის თეორიულ თუ პრაქტიკულ ხასიათს და, შესაბამისად, 2, 3, 4 და 5 კრედიტიანია. 1 კრედიტი 25 საათის ტოლფასია. კრედიტის მოცულობაში გათვალისწინებულია აუდიტორიული, საგამოცდო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები. ყველა სასწავლო კურსის აუდიტორიული დატვირთვის მოცულობა რეგულირდება შესაბამისი ნორმატივების მიხედვით.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს,

თუმცა, არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ეხება სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზნების ადეკვატურად ფორმულირებას და შეფასების სისტემასთან, სწავლის შედეგებსა და კურსების შინაარსობრივ ასპექტებთან მათ მიმართებას.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები„ გადამუშავება, კერძოდ, კურიკულუმს უნდა დაემატოს კურსი „ ჰიდრავლიკის საფუძვლები“ რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნის მიღწევა ან გადაიხედოს და გადამუშავდეს აღნიშნული კურსის მიზანი.

ზოგიერთ სასწავლო კურსში (კერძოდ: „ტანსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში“, „სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია“, „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის საფუძვლები“, „სამკერვალო ნაკეთობათა კონსტრუირება“)რეკომენდებულია სასწავლო კურსების თემატიკის გაშლა, რათა სტუდენტებისთვის უფრო ნათელი გახდეს შესასწავლი საკითხების მოკლე შინაარსი.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „გამოყენებითი ანთროპოლოგია-1“ მიზნის დახვეწა და მისი შინაარსის სრულყოფილად გადმოცემა.

რეკომენდებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსის „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის კომპიუტერული დაგეგმარება“ შინაარსი და მუშაობის ფორმატი. სასწავლო კურსის მიზანი მხატვრულ ამოცანებსაც ითვალისწინებს. ამდენად, კურსის პრაქტიკულ მეცადინეობებს უნდა დაემატოს იდეის კონცეპტუალური მხატვრული გააზრების კომპონენტები.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია პედაგოგის მიერ შემუშავებული ქართულენოვანი სასწავლო მასალა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ზოგ შემთხვევაში (მაგ. სასწავლო კურსი „ხელოვნების და კულტურის ისტორია“) ლიტერატურა გასაახლებელია.

პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია შემუშავდეს ახალი სასწავლო კურსი პირობითად, „თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები“, რომელიც გააცნობს სტუდენტებს მათთვის აუცილებელ კომპიუტერულ პროგრამებს და განუვითარებს მათ ამ პროგრამებით სარგებლობის პროფესიისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საბაკალავრო პროგრამა;

სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები„ გადამუშავება, კერძოდ, კურიკულუმს უნდა დაემატოს კურსი „ ჰიდრავლიკის საფუძვლები“ რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნის მიღწევა ან გადაიხედოს და გადამუშავდეს აღნიშნული კურსის მიზანი.
- ზოგიერთ სასწავლო კურსში (კერძოდ: „ტანსაცმლის კომპოზიციის შესრულება მასალაში“, „სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია“, „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიის საფუძვლები“, „სამკერვალო ნაკეთობათა კონსტრუირება“) რეკომენდებულია სასწავლო კურსების თემატიკის გაშლა, რათა სტუდენტებისთვის უფრო ნათელი გახდეს შესასწავლი საკითხების მოკლე შინაარსი.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „გამოყენებითი ანთროპოლოგია-1“ მიზნის დახვეწა და მისი შინაარსის სრულყოფილად გადმოცემა.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ხელოვნების და კულტურის ისტორია“ განახლდეს სასწავლო მასალა უახლესი გამოცემებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების ჰარმონიზაციის, ასევე დარგის/სფეროს აქტუალურ მიღწევებზე ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმოს თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან. მემორანდუმის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს თსსა პედაგოგების მასტერკლასები და ვორქშოფები; შესაძლებელია წინასწარ გაზიარებული გრაფიკის შესაბამისად დაიგეგმოს აწსუს სტუდენტების მონაწილეობა მოდის დიზაინის უცხოელი სპეციალისტების მიერ აკადემიაში ჩატარებულ სხვადასხვა სახის აქტივობებში (საჯარო ლექცია, ვორქშოფი, მასტერკლასი, სტუდიური მუშაობა და სხვ.).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს კვლევით და შემოქმედებით კომპონენტს, რომელიც პროგრამის ძირითად ბადეში ფორმულირებულია, როგორც სასწავლო კურსი „ კომპოზიციის მასალაში შესრულება“. თავისი შინაარსით ეს კომპონენტი პროგრამის დამასრულებელი ნაშრომია, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მათი პროგრესის დემონსტრირებას. ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რათა შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. თუმცა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, რეკომენდებულია სასწავლო კურსის გადამუშავება საბაკალავრო ნაშრომის ფორმატში. პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. ბუნებრივია, პრაქტიკული ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს, რომლის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ უშუალოდ შესაბამისი სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების სხვადასხვა პროექტებში ჩართულობას, როგორიცაა ფესტივალები, გამოფენები, კონკურები საერთაშორისო და ადგილობრივი მასშტაბით. თუმცა ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე, მონათესავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აუცილებელია დაწესებულებამ აქტიურად იმუშაოს ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე; ამ კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი როგორც სტუდენტებში, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამა; სასწავლო კურსების სილაბუსები; მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან (საწაროო პრაქტიკის ობიექტებთან) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების თაობაზე; ინტერვიუები უსდ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მსგავსი პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე და თანამშრომლობს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან. თუმცა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია, აღდგეს გასულ წლებში არსებული გაცვლითი პრაქტიკის ტრადიცია ევროპის შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებთან, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ახლოს გაეცნონ საერთაშორისო გამოცდილებას უცხოური ანალოგიური პროგრამების გაცნობის გზით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ინდივიდულაური დაჯგუფური მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სხვ. გამოყენებულია ასევე საშინაო დავალებები, პორტფოლიოს შედგენა, მოხსენების მომზადება კონფერენციაზე ან პრეზენტაციაზე წარსადგენად. უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ან საწარმოების ბაზაზე განხორციელებული პრაქტიკის დროს აქტიურად გამოიყენება ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოს ჩატარების მეთოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია ამ მიმართულების პროგრამების განხორციელების პროცესში, თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსებში მეთოდოლოგიური ნაწილი გარკვეულწილად განზოგადებულია, რაც ჩვენი აზრით უნდა ადაპტირდეს კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან.ორივე სპეციალობის მოდულში ნაწილობრივ გადასახედია სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია, დასახვეწია იდეიდან კონცეფციამდე და მზა ნამუშევრამდე მისვლის მეთოდოლოგიური ასპექტები (კონცეფცია, დიზაინერული აზროვნება, ინსპირაცია).

რეკომენდებულია სასწავლო კურსების:„ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მხატვრული მოდელირება“, „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია - 1“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია-2“, „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ სილაბუსებში სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა;
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამა; სასწავლო კურსების სილაბუსები; თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სასწავლო კურსების: „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მხატვრული მოდელირება“, „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია - 1“, „გამოყენებითი ანთროპოლოგია-2“, „ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა“ სილაბუსებში სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა შეფასება ხორციელდება 100 ქულიანისისტემით, რომელიცსასწავლოპროცესშიჩართულიაქტივობის, შუალედური და დასკვნითი შეფასებისწილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული

შრომის შეფასებას. აქტივობა ითვალისწინებს სტუდენტის ყოველკვირეულ შეფასებას პრაქტიკულ მეცადინეობებზე, შეფასების მეთოდები და რუბრიკები დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური ფორმით. შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება ფორმალიზებული წესით სწავლების მერვე და მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე კვირას, რომელიც გულისხმობს საგამოცდო ცენტრის მიერ გამოცდის ჩატარებას. გამოცდის ფორმას (წერა, ტესტირება საგამოცდო ცენტრში) წყვეტს სილაბუსის ავტორი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება აქტივობის, შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 15 ქულას. უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების დროული გაცნობა და სტუდენტი იღებს უკუკავშირს მიღებული შედეგის შესაბამისად. პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამა; სასწავლო კურსების სილაბუსები; თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა		☑		

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვის თვალსაზრისით სტუდენტს აქტიური კავშირი აქვს ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, კურატორთან. სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს მხარდაჭერა საკუთარი პროფილის განსაზღვრის, მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად, იღებს კონსულტაციას აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებზე, დახმარებას კარიერული განვითარებისა და დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული დეკანატის სისტემა,რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს დარეგისტრირდეს სასურველ მოდულზე,

მოითხოვოს სხვადასხვა ტიპის საუნივერსიტეტო სერვისები. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ არსებობს საკონსულტაციო საათები, თუმცა სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერ დროს მიიღონ დახმარება და კონსულტაცია მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. დადასტურდა ასევე, რომ მათ აქვთ ინფორმაცია შეფასების ქულის გასაჩივრების პროცედურის შესახებ. პროგრამის პოპულარიზაციის და ცნობადობის ასამაღლებლად დაგეგმილ ღონისძიებებში სტუდენტები აქტიურად იღებენ მონაწილეობას. უნივერსიტეტის ახალ, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ ბიბლიოთეკაში და ფაბლაბში შექმნილია სტუდენტთა წრე, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საკუთარი შემოქმედებითი და ინოვაციური იდეების გასახორციელებლად.ჯგუფში შემავალი სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები იღებენ დახმარებას იდეების დახვეწასა და რეალიზებაში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს გარკვეული სამუშაო აქვს ჩასატარებელი უცხო ენის ცოდნის ამაღლების მიზნით, რაც საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა მეტი ჩართულობისთვის არის აუცილებელი. სასურველია, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებთან და სტუდენტი კომპიუტერული პროგრამების (მაგ.: Photoshop, Illuatrator) დახმარებით ასრულებდეს სპეციალობის მოცემულობებს. რაც სტუდენტებს დამსაქმებლებთან ეფექტური კომუნიკაციის და შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს.სტუდენტებმა დააფიქსირეს ასევე პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების სურვილი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად მართავს ღონისძიებებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ქალაქის მასშტაბით. სტუდენტები თავისუფლად იღებენ მონაწილეობას თვითმმართველობის არჩევნებში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან; ინტერვიუ მონათესავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს და განახორციელოს აქტივობები უცხო ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად. სასურველია, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებთან და სტუდენტი კომპიუტერული პროგრამის (მაგ.: Photoshop, Illuatrator) დახმარებით ასრულებდეს სპეციალობის მოცემულობებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	☑			

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 29 აფილირებულიაკადემიური პერსონალი. მათ შორის, სპეციალობის მოდულებს ემსახურება 3 პროფესორი, 1 ემერიტუსი, 5 ასოცირებული პროფესორი, 2 მასწავლებელი. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სასწავლო კურსების განხორციელებას მოემსახურება 3 პროფესორი, 17 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი. აკადემიურ პერსონალთან ერთად პროგრამას ემსახურება 35 მოწვეული სპეციალისტი. პროგრამა ხორციელდება მაპროფილებელი დეპარტამენტების ბაზაზე და მას დამატებით ემსახურება ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტები და ენათა ცენტრი.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის დაცულია გონივრული ბალანსი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, თანაფარდობა და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ჯეროვნად წარმართვას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და სამეცნიერო აქტივობა დასტურდება მათ მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების და კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებლებით. პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული უშუალოდ პროგრამის განხორციელებაში. სასწავლო რესურსებით სტუდენტთა უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის პოლიტიკაა, რომ თითოეულმა პედაგოგმა შეიმუშაოს ქართულენოვანი სასწავლო მასალა, რაც, უდაოდ ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ემსახურება მაღალი კვალიფიკაციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (მათ შორის, დეკანატის, დეპარტამენტის, ბიბლიოთეკის, ლაბორატორიის, კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლები). საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდებაუნივერსიტეტის მართვის ორგანოების ხელშეწყობითა და ხარისხის მართვის სამსახურის პერიოდული მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით. ამდენად, პროგრამის ადამიანური რესურსი სავსებით შეესაბამება სტანდარტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; ინერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში რეგულარულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და სასწავლო პროცესის შედეგების მონიტორინგი, შესაბამისი ანალიზის შედეგად ხორციელდება სასწავლო პროცესის სრულყოფისა და პროგრამული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მონიტორინგის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტში დანერგილი ურთიერთდასწრების პრაქტიკა, სწავლების პროცესის ეფექტურობის შეფასებისა და სწავლა/სწავლების პროცესის წარმართვის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამავე მიზნით სისტემატურად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა.სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის შეფასება ხდება მათი ყოველწლიური ანგარიშების მეშვეობით.ამგვარი შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის. პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება ტრენინგები, სემინარები, ხარისხის უზრუნველყოფის სხვდასხვა სახის აქტივობები. სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი საქმიანობა ხშირად ფინანსურადაა მხარდაჭერილი უნივერსიტეტის მხრიდან. შექმნილი აკადემიური გარემოს დადსტურებად შესაძლებელია მივიჩნიოთ პერსონალის სამეცნიერო აქტიურობა: საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულია 73 სტატია, ადგილობრივ ჟურნალებში - 231, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა - 201, ადგილობრივ კონფერენციებში - 4. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ პროგრამის პროფესორ-მასწავლებლებს მოპოვებული აქვთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 8 გრანტი, რომელიც უშუალოდ პროგრამის სპეციალობებს განეკუთვნება და რამდენიმე სამეცნიერო პროექტზე მუშაობა ამჟამადაც მიმდინარეობს, პერსონალი საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა. „დიზაინისა და ტექნოლოგიის“ დეპარტამენტში შექმნილია ხელშემწყობი პირობები ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და პროფესიული განვითარებისათვისაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: თვითშეფასების ანგარიში; აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; სამეცნიერო გრანტების და სამეცნიერო მივლინებების დოკუმენტაცია;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა,

ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას პესონალის ინდივიდუალური საჭიროებები (დარგობრივი ტრენინგები, უცხო ენის კურსები და სხვა),რაც ხელს შეუწყობს პროგრამის საერთაშორისო განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება აწსუ-ს მეშვიდე და მეცამეტე კორპუსების ბაზაზე. ამ კორპუსებში განთავსებულია აუდიტორიები, ლაბორატორიები, პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი ოთახები.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ახალი საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არის მოწყობილი ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული ტექნიკური აღჭურვილობა: სამუშაო, საგამოფენო და საპრეზენტაციო სივრცეები და ა.შ. შექმნილია ყველა პირობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის, იმ მიზნით რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

„მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და ძირითადად შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს, თუმცა რიგ შემთხვევებში რეკომენდებულია სასწავლი მასალის, ლიტერატურის განახლება და გამრავალფეროვნება, მათ შორის, უკანასკნელ პერიოდში გამოცემული ქართულენოვანი ლიტერატურით. პროგრამის ყველა კურსი აღჭურვილია ქართულენოვანი სასწავლო მასალით, რომელიც კურსის პედაგოგების მიერა

შემუშავებული. სახელმძღვანელოები წარმოდგენილია ბიბლიოთეკის ფონდის საცავში, ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის, როგორც უნივერსიტეტში, ასევე ონლაინ რეჟიმში პედაგოგთან უშუალო კონტაქტის მეშვეობით. დეპარტამენტის მატერიალური ბაზა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 8 სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში შეძენილი აღჭურვილობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სასწავლო კორპუსების, აუდიტორიების, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ცენტრების ფაქტობრივი მდგომარეობა; აწსუ ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;
რეკომენდაციები: • პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია ზოგიერთი კურსის სასწავლო რესურსის, ლიტერატურის განახლება და გამდიდრება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საანგარიშო პერიოდში განახლდა აუდიტორიები და პრაქტიკული სამუშაოს ლაბორატორიები, მაგრამ, სასურველია, უნივერსიტეტმა მთლიანად განაახლოს/გაარემონტოს სასწავლო და დამხმარე ფართი, თანამედროვე იერი შესძინოს მთელ მატერიალურ ბაზას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის მეშვიდე და მეცამეტე კორპუსში არსებული საუდიტორიო და ლაბორატიული ინფრასტრუქტურა წარმოადეგნს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. „მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ყოველწლიური ხარჯის გაანგარიშების სპეციალური ელექტრონული პროგრამით, რომელშიც გათვალისიწნებულია პროგრამის სასწავლო პროცესის, პრაქტიკის და კვლევითი კომპონენტების ხარჯი, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული და სახარჯო მასალები, მომარაგების ხარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა		☑		

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება და ამ სამსახურის მიზნებს წარმოადგენს:უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა; უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებითა და კრიტერიუმებით განსაზღვრული დონის ხარისხის უზრუნველყოფა; განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ინსტიტუციური ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უწყვეტობის მიღწევის მიზნით; უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგების რეგიონულ და ეროვნულ დონეზე აღიარება და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლება; უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ინტერნაციონალიზაციისა და დაინტერესებულ მხარეებთან ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება უნივერსიტეტისმიერ განსაზღვრულ პოლიტიკას სამი ძირითადი მიმართულებით: I. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა II. კვლევის განვითარების პოლიტიკა III. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა.

შემუშავებულია სათანადო პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განსახორციელებლად:

1. EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
2. EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
3. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

„მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამას სრულად აქვს გავლილი აღნიშნული პროცედურები.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა მოიცავს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა ლექციებზე ურთიერთდასწრება,როგორც სააუდიტორიო მუშაობის შეფასების ქმედითი და კოლეგიალური აქტივობა. ამასთან, ურთიერთდასწრება და შეფასება საშუალებას აძლევს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, საგანამანათლებლო პროგრამებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს სისტემატურად მიიღონ ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების არსებულ მდგომარეობაზე, მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე. ამგვარი მექანიზმის არსებობა ხელს უწყობს სწავლა/სწავლების პროცესის ეფექტურობის ამაღლებას და უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნების გაანალიზების საფუძველზე სასწავლო პროცესის სრულყოფისა და მისი გაუმჯობესების პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.

ხარისხის უზრუნველყოფის აპრობირებულ ინსტრუმენტებს წარმოადგენს :

- სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა,
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი, მიღებული შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა,
- თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან პროგრამების SWOT ანალიზის შესრულებაში;
- პერიოდული ტრენინგები აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან სასწავლო კურსის პროგრამების შედგენის საკითხებზე,
- სტუდენტთა წინადადებებისა და მოსაზრებების გაზიარება, რომელთაც ისინი აფიქსირებენ კურსის დასრულების შემდეგ.
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და შედეგების განხილვა დეპარტამენტში და ფაკულტეტის საბჭოზე. აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესი უნივერსიტეტში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

უნივერსიტეტში ხორციელდება ე.წ. შიდა „ორმაგი ექსპერტიზის“ პროცედურა, რომელიც გულისხმობს შემუშავებული პროგრამის შეფასებას როგორც განმახორციელებელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ. აღნიშნული შეფასების პროცესში პროგრამის გაუმჯობესებისათვის მიღებული რეკომენდაციები და შენიშვნები განიხილება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ და აისახება პროგრამის კურიკულუმში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში;

„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;

ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;

ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): უნივერსიტეტში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების განსხვავებული პრაქტიკა, კერძოდ, პროგრამა გადის ე. წ. „ორმაგ შეფასებას“, რომელშიც შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობს სხვა ფაკულტეტიდან შერჩეული დარგის სპეციალისტი, აკადემიური პერსონალი. ამგვარი პრაქტიკა კარგად უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას ხარისხის შეფასების შიდა სისტემაში და ზოგადად, ხარისხის კულტურის ამაღლებას უწყობს ხელს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების მექანიზმს წარმოადგენს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესები. პროგრამის თანდართულ საბუთებში წარმოდგენილი არ იყო დამატებითი გარე ხარისხის შეფასების დოკუმენტი, თუმცა თვითშეფასების ანგარიშით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი მიმართავს გარე შეფასების პროცედურასაც; კერძოდ, წარმოდგენილ პროგრამას გავლილი აქვს ამგვარი შეფასება, რომელიც ჩაატარა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ექსპერტად შერჩეულმა მაპროფილებელი დარგის აკადემიურმა დოქტორმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა. პროგრამას მიღებული აქვს დადებითი შეფასება. ამდენად, უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების მექანიზმს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წრმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან;

რეცენზია საბაკალავრო პროგრამაზე „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცედურა და მისი განხორციელების კონკრეტული მექანიზმები; კერძოდ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგსა და ანალიზს ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება რაოდენობრივი (მათ შორის გაუსის განაწილების) დ 39 ხარისხობრივი მაჩვენებლების (პროგრამის სწავლის შედეგების) მიხედვით. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგიდაანალიზიხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. ანალიზის შედეგები იგზავნება პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. ძირითადი დაინტერესებული მხარეების (სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) კითხვარებს ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გამოკითხვის პროცესში ჩართული არიან სამსახურის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელები. გამოკითხვის შედეგების გაანალიზების შემდეგ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებულ შედეგებს გასაცნობად უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს. ამდენად, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მწყობრი სისტემა, რომელშიც ჩართული არიან აკადემიური

პერსონალი, სტუდენტები, სხვა დაინტერესებული მხარეები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“; ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები(კითხვარები).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	☑			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

მოდის დიზაინი და ტექნოლოგია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	☑			
2. სწავლებისმეთოდოლოგია დაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		☑		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	☑			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა		☑		
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	☑			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ღაღანიძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნანა იაშვილი

ნია ნათბილაძე 

ეკა ჩხუტიშვილი

თამარ ბერიანიძე